საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მედვედევი იაკობ სერგის ძე

მედვედევი იაკობ სერგის ძე (1848–1923, თბილისი), რუსი ბოტანიკოსი, დენდროლოგი, მეტყევე, კავკასიის ფლორის მკვლევარი, საიდუმლო მრჩეველი. დაამთავრა პეტერბურგის მიწათმოქმედების ინ-ტი (1869). მუშაობდა კავკასიაში მეტყევედ, შემდეგ მიწათმოქმედების სამინისტროს უფლებამოსილ პირად. დაინიშნა კონსულტანტად თბილ. ბოტანიკურ ბაღში (1915). იყო კავკ. მეფისნაცვალთან არსებული საბჭოს წევრი, შემდგომში – ამიერკავკ. სტატისტიკის კომიტეტის თავ-რის მოადგილე. თავის მონოგრაფიაში „კავკასიის ხეები და ბუჩქები“ („Деревья и кустарники Кавказа“, 1883) აღწერა 300-ზე მეტი მცენარე, მათი მორფოლოგიურ-სისტემატური და ეკოლოგიური დახასიათება, გავრცელება და სამეურნეო გამოყენების შესაძლებლობა. შეიმუშავა მეთოდი, რ-ის მეშვეობით დგინდება მცენარეთა სინათლისკენ მიდრეკილება სიმაღლესთან შეფარდებით, შეადგინა მცენარეთა ლანდშაფტზე დაფუძნებული კავკასიის ბოტან. დარაიონების სქემა.

თხზ.: Растительность Кавказа: опыт ботанической географии Кавказского перешейка. – Тфл., 1915.